ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

სენაკის მაზრის საერობო საარჩევნო კომისიებისათვის

I. ხმოსნების ასარჩევათ მაზრა იყოფა 6 საარჩევნო ოლქათ: 1 ოლქში შედიან: **თეკლათი, ჭალადიდი, ძველისენაკი, ნოსირი** და **გეჯეთი** მე-2-ში **ეკი, ნოქალაქევი, უშაფათი, ფოცხო,** და **ლეძაძამე** -მე 3-ში **ბანძა, აბედათი, ლეხაინდრავო, ჯოლევი** და **ნახუნავო** მე-4-ში **აბაშა, ონტოფო, სეფიეთი** და **სამიქავო** მე-5-ში **ნაესაკოვო მარანი. კვათანა** და **სუჯუნა** მე-6-ში **მარტვილი, ნაგვაზავო, კინჩხა, თამაკონი, კიწია** და **სალხინო**. II. თითოეულ ოლქში არსდება საოლქო საარჩევნო კომისიები, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ დანიშნულ პირთა თავმჯდომარეობით შემდგარი ამ უკანასკნელების მიერ ამომრჩეველთა რიცხვიდან მოწვეულ იმდენი პირისგან, რამდენი სოფლის საზოგადოებაც შედის საარჩევნო ოლქში. ამათ გარდა კომისიაში შედიან ხმოსანთა კანდიდატების სიის წარმომადგენელთაგან ის პირები, რომლებსაც პირველათ უწერიათ ხელი განცხადებებზე.

III. საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებათ დანიშნულნი არიან·

1 საარჩევნო ოლქში	**არტემ ჩემია**	(სოფ.)
2	**ისიდორე კერტია**	( )
3	**ალექსანდრე გაბუნია**	( )
4	**ლუკა დავითაია**	( )
5	**ივლიანე ჭანტურაია**	( )
6	**ნიკო კუხალეიშვილი**	( )

IV. საოლქო საარჩევნო კომისიების მოვალეობას შეადგენს: ა) თითოეულ სოფლის საზოგადოებაში საარჩევნო კომისიის მოწყობა ბ) ამ კომისიების თავმჯდომარეების დანიშვნა **შენიშვნა**: საზოგადოების საარჩევნო კომისიები იმდენივე რიცხვისგან და იმავე წესით შედგებიან, როგორც საოლქო კომისიები.

გ) თვალყურის დევნება, რომ საზოგადოების საარჩევნო კომისიებმა თავის დროზე და კანონის თანახმათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი არჩევნების შესახებ.

დ) საზოგადოებაში არჩევნების დამთავრების შემდეგ საარჩევნო მასალების და ოქმების შეკრება, ხმების დათვლა და შემაჯამებელი ოქმების წარმოდგენა სამაზრო საარჩევნო კომისიაში.

V. სოფლის საზოგადოებათა საარჩევნო კომისიების მოვალეობას შეადგენს:

ა) საზოგადოების ყრილობათა მოწვევა და მათთვის ერობის მნიშვნელობის და მიზნების განმარტება

ბ) არჩევნების დღის გამოცხადება

გ) ამომრჩეველთა სიების შედგენა საზ. კომისიებისა და მწერლების დახმარებით რუსეთის დამფუძნებელ კრების ამომრჩეველთა სიების შევსება-შესწორებით

დ) ამ სიების გამოქვეყნება კანცელარიებში არა უგვიანეს 16 ივლისისა (ახალი სტილით), რათა შეცთომით გამოტოვებულთ საშვალება მიეცეს განუცხადონ ეს კომისიას 20 ივლისამდე.

ე) სიებში გამოტოვებულთა განცხადებების განხილვა, სიების შესწორება და საბოლოოდ გამოქვეყნება არა უგვიანეს 22 ივლისისა. **შენიშვნა**. თუ ამომრჩევლების ან ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადება სიების უსწოროთ შედგენის შესახებ 22 ივლისამდე დაკმაყოფილებულ არ იქნა, ამ უკანასკნელთ შეუძლიათ განასაჩივრონ 23 ივლისამდე სამაზრო საარჩევნო კომისიაში, რომელიც აცნობებს თავის დადგენილებას

ვ) სხვა და სხვა პარტიებისა და ჯგუფებისაგან ხმოსნების კანდიდატთა სიების მიღება 25 ივლისამდე, განცხადებებითურთ, რომლებიც ხელმოწერილი უნდა იყოს არა ნაკლებ ათი კაცის მიერ.

ზ) საარჩევნო ყუთების, ლუქის და კანაფის დამზადება

ჱ) 28 ივლისს დილის 10 საათისთვის საარჩევნო კრების მოწვევა საზოგადოების კანცელარიაში, თავმჯდომარის მიერ სიით გამოცხადებულ ამომრჩევლებისგან საარჩევნო ბარათების მიღება დაკეცილათ და ჩაშვება ყუთში, რომელიც არჩევნების დაწყებამდე თავ-ახდილი უნდა უჩვენონ საზოგადოებას რომ ის ცარიელია

შენიშვნა. კომისიებმა უნდა გამოუცხადონ პარტიებს და ჯგუფებს, რომ საარჩევნო ბარათები ყველას მიერ დამზადებულ უნდა იქნან ერთგვარი გარეგნობისა, სახელდობრ ისინი უნდა დაიბეჭდონ ან დაიწერონ თეთრი საწერი ქაღალდის მერვედ ფურცელზე და დაწერილი გვერდით შიგნით შუაზე გაკეცილი უნდა ჩააბარონ კომისიის თავმჯდომარეს ყუთში ჩასაშვებათ. სხვა ფერისა და ზომის ბარათები სათვალავში მიღებული არ იქნებიან.

თ) კენჭის ყრის დამთავრების შემდეგ. რომელიც იმავე დღეს უნდა მოხდეს ღამის 10 საათამდე ყუთი უნდა შეიკრას კანაფით და დაიბეჭდოს ლუქით.

ი) მეორე დღეს, დანიშნულ საათზე მოსულ ამომრჩეველთა თანადასწრებით, საარჩევნო

კომისიები ხსნიან საარჩევნო ყუთებს და ითვლიან მიცემულ ხმებს, რასაც აღნიშნავენ განსაკუთრებულ ქაღალდის ფურცელზე, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარეები და კომისიის წევრები და იმავე დღეს წარუდგენენ საოლქო საარჩევნო კომისიებს.

VI. სამაზრო ხმოსნებათ არჩეულად ითვლებიან ის პირები, რომელთა სიები მიიღებენ მთელს საარჩევნო ოლქში ხმების უმეტესობას.

VII. ის კანდიდატები, რომლებიც არ მოყვებიან არჩეულთა რიცხვში, ჩაიწერებიან ხმოსნების კანდიდატებათ რიგზე მიღებულ ხმების რაოდენობის მიხედვით.

VIII.

1	საარჩევნო	ოლქი	ირჩევს	5	ხმოსანს
2	„	„	„	5	„
3	„	„	„	5	„
4	„	„	„	6	„
5	„	„	„	6	„
6	„	„	„	6	„
ქ. ახალ-სენაკი			„	1	„
ქ ფოთი			„	4	„

9, საერობო ხმოსნები ირჩევიან სამი წლის ვადით, მხოლოდ პირველად არჩეულები ითვლებიან ხმოსნებათ მხოლოდ 1920 წლის 1 იანვარამდე.

10· საერობო ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომლებსაც საარჩევნო სიების შესწორების დღისთვის შეუსრულდებათ ოცი წელი, თუ ისინი ამ დროს ცხოვრობენ იმ ქალაქში, ან საარჩევნო ოლქში, სადაც არჩევნები ხდება, ან აქვთ იქ მოსახლეობა, ან მსახურებენ იქ, ან კიდევ აქვთ რაიმე ხელობა, რომელიც რითიმე აერთებს ამომრჩეველს აღნიშნულ ქალაქთან ან საარჩევნო ოლქთან. სამხედრო სამსახურში მყოფი პირები იღებენ არჩევნებში მონაწილეობას საერთო წესების თანახმად.

11· არავის არა აქვს უფლება ისარგებლოს არჩევნებში ერთის მეტი ხმით.

12. მეათე მუხლში აღნიშნულ პირთაგან არჩევნებში **მონაწილეობას ვერ მიიღებენ**: 1. ბერ-მონაზვნები 2. კანონით ცნობილნი შეშლილებათ და ყრუ-მუნჯებათ.

3. სასამართლოს მიერ დასჯილნი ლირსების აყრით და აგრეთვე დასჯილნი ქურდობისთვის, მატყუარობისთვის, სხვისი ქონების მითვისებისათვის, მიტაცებულის დამალვისთვის, აშკარა ნაქურდალის ყიდვისთვის ან ხელოვნად გადაქცეულ გვამით მიღების[illegible]ყალბისთვის, მევახშეობისთვის, ქრთამის აღება და მიცემისთვის ან კიდევ საარჩევნო უფლებათა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობისთვის სასჯელის მოხდიდან სამი წლის გავლამდე.

13. ხმოსნებათ არჩევა შეიძლება არა მარტო იმ პირებისა, ვისაც სარჩევნო უფლება აქვთ, არამედ იმისიც, ვინც საარჩევნო ოლქში არ ცხოვრობს, ან იქ მოსახლეობა ან სამსახური არა აქვს, მხოლოდ აკმაყოფილებენ მე-12-ე მუხლებში აღნიშნულ პირობებს.

14. არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიები თვალ-ყურს ადევნებენ, რომ იმ ბინაზე, სადაც არჩევნები ხდება არ იქნას დაშვებული საარჩევნო წესების ან არჩევნების თავისუფლებია დარღვევა, ან არ ხდებოდეს საარჩევნო აგიტაცია.

15. ის პირები რომლებიც დაარღვევენ წესებს, ან არჩევნების თავისუფლებას, პასუხისგებაში მიეცემიან 328^{1}-328^{7} სისხლის სამართალის წესების ძალით.

16· ჯგუფები და პარტიებივალდებულნი არიან ხმოსნების კანდიდატთა სიების წარმოდგენასთან ერთად საარჩევნო საოლქო კომისიებს წარმოუდგინონ ამ კანდიდატთა ხელმოწერილი განცხადებებიც საარჩევნო კომისის თავმჯდომარის სახელზე, რომ ისინი თანახმანი არიან კენჭი იყარონ საერობო ხმოსნობაზე. უამისოთ კანდიდატთა სიები არ მიიღებიან კენჭის საყრელად.

17. საარჩევნო კომისიებში მდივნები სწერენ ოქმებს, რომლებშიც უნდა აღინიშნოს: კრების გახსნისა და დახურვის დრო, არჩევნებში მონაწილეობის მიმღებ ამომრჩეველთა რიცხვი, ამომრჩევლების შემოსული განცხადებები, კომისიის თავმჯდომარის განკარგულებანი და კომისიის დადგენილებანი. აღნიშნულ ოქმს უნდა დაერთოს საარჩევნო სია ზედაღნიშვნით, თუ ვინ წარმოადგინა სია. ოქმი და არჩევნების ფურცელი (მუხლი V-ი), უნდა წაკითხული იქნას საარჩევნო კრებაზე, ხელი უნდა მოაწერონ თავმჯდომარემ, კომისიის წევრებმა და უნდა შეამოწმოს მდივანმა.

სენაკის მაზრის საერობო საარჩევნო კომისია.

ƨƨƨ
9